

კვირა, 2 ოქტომბერი 1916 წ.

რედაქციის ადგინი:  
თფლისი, ღვარი ქუჩა, № 6.

ფარ 15 რაპ.

# სასულისა

# გაზირაზი

იუმორისტი:  
უურნალი.

№ 40

სასულსათო საპირი



სახელმ გამოსულა სასულსათო კომიტეტისა.



## ქრქ შეჯდა...

ჩემი მარჯვენა ფეხის წალას თუ დახედავთ, დაკვირვებული თვალი მასზე (დაახლოებით პეინტსა და ტერფს შუა) შეაჩნევს პატარა ტყავის ნაჟერს, (დღლაბას ტუზის მოყვანილობისას) შევის ძაფით დანაკერებს.

ვარ იფიქტებს, თუ ა, ამ პატარა ნაჟერს, ჩემი ფეხსაცმელის ზურგზე დანაკერებს, ასეთი მჭიდრო კავშირი აქვს თანამედროვე მსოფლიო ომთან? და ეს რომ ასე ამას ახლავ დაგიმტკიცებთ.

საზოგადოთ უნდა აღინიშნოს, რომ ჩევნში ომს უფრო ზერტლე უყურებენ, ვინაიდან ცნობილია, რომ ყველა ქროველი მოღვაწე „ტყირს მაღლა იწევს“ და აშეარა ამ პირობებში მას გაუკირდება საჭმის კოჭებში ჩახედვა.

ის პატარა ტყავის ნაჟერი კი, რომლის შესახებაც მსურს მე დღეს მკითხველს ვესაუბრო, სწორეთ კოჭის დასწერივ არის დაკერებული ჩემი მარჯვენა ფეხის საცემლზე.

კარგათ მახსოვეს, გასული ოთხშაბათი იყო, ნაშუადლევის 4 საათი, როცა მე და ქნი ჯვალუ მუშტაილში ვიჯექით სკამზე. მე გაცხარებით ვლაპარაკობდი საბერძნეთის მეფის პოლიტიკაზე, რუმინის აწინდელ მდგომარეობაზე და საზოგადოთ ბალკანეთის ვითარების შესახებ. რაღაც ჩემდა საუბედუროთ კატა ვასხენ. ესთქვი: გერმანია, როგორც გამოცდილი კატა, ისე...

— თქვენ ჩემი ახალი კატა უნდა ნახოთ, — დონჯათ შემნიშნა ქნმა ჯვალუმ, — ციმბირსკის პარლია, ნაცნობმა აფიცერმა მომიყვანა ტრაპეზუნ-თიდან. რაა იმასთან შედარებით გერმანის კატა!..

სირცეილისაგან დავიწყი, ენა პირში გამიშეშდა, მთელი ჩემი პოლიტიკური ზეაღტაცება უცებ ჩაპერა და ჩვეულებრივის სიმორცვით ჩავღუნე თავი. რა ვიცოდი, თუ იქ, დაბლა, ჩემი მარჯვენა ფეხი დაშვედობდა და განცდილ უხერხულობას გამიასკეცებდა?

გულმა მაშინვე იგრძნო რაღაც იღუმალი სიმწარე, როცა ფეხსაცმლის იმ ალაგას, სადაც ახლა პატარა ტყავის ნაჟერი აკერია, თეთრი წერტილი შევნიშნე.

— ალათ ფრთხოსანმა მაფრევია რამე და ეს ხომ ბედნიერების ნიშანი არის-მეთქი, — განვივლე გულში და ჯოხის წევრით მოვისურვე თეთრი წერტილის გადაფხევა. ცდა ამათ გამოდგა! რაც მეტი ვუკირკიმალე, წერტილი უფრო გაიზარდა. დასასრულ ჩემი ფეხის ერთ-ერთი თითოც გამოჩნდა. სანახობა იმდენათ მოულოდნელი და უსიმოწოდი იყო, რომ სრულიად გადაშავიწყა ქნი ჯვალუ სიახლოვე.

— ღმერთო ჩემო! რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდე! ვინ იყიდის ახლა ახალ ფეხსაცმელს, უძინისობა კი შეუძლებელია, — ვფიქრობდი მე და სრულებით იღარ მესმოდა ჩემი მეზობლის ლაპარაკი ტრაპეზუნ-თიდან მოყვანილ „მუხთარეას“ შესახებ.

იმ საღამოს ჩევნი კუკმეუკ უფერულათ გათავდა, ხოლო მეორე დღეს დილით მე უკვე ქუჩა-ქუჩა დავდიოდი ჩემი ფეხსაცმლით ხელში. ვის არ ვაჩენე, რომელი მეწარე არა ვნახე, მაგრამ მისი გაკეთება არავინ არ იკისრა.

— ეგ რაღაც მანეთ მახევრის საქმეა, ახლა მაგისოვის ვინ მოსცდება — მიოხერა ერთმა.

— ვინმე ფინასის მიუტანეთ, ჩევნ სამაგისო დრო არა გვაქვს — მიპასუხა მეორემ.

— ახლა ასეთ წვერიმალ საქმეს მოხელე განამოჰკიდებს ხელს? შემომიბლვირა მესამემ.

— რა დროს ხუმრობაა, ყმაწილო, თქვენ თუ უსაქმო ხართ ჩენ რას გვეშართლებით, რაზე გვაცდენთ! შემომიტია მეოთხემ და მთელი დღის წოწიალის შემდეგ ჩემი გახვრეტილი ფეხსაცმელით დაქანცული დაგბრუნდი სახლში. მთელი ღამე უსიმოწოდი სიზრებში გავატარე. სიფხილეში სულ იმასა ვფიქრობდი, თუ როგორ გამოვსულიყავ ამ უხერხულ მდგომარეობიდან და მაღლი ჯოჯონეთს ცდამ ამაოდ არ ჩამიარა.

გადავსწყვიტე თითონვე დამეკერებია ფეხსაცმელი და ამგვარათ უზომო ხარჯისგან გაენთავისუფლებულიყავ. ასეც მოვიქეც.

შაბათ დილით შევუდექ საჭირო მასალის დაგროვებას. ვიშოვე სადგისი, რარი ნემსი, (ერთი დაუანგული) შავი ძაფი და პატარა თაფლის სანთელი. დიდი შრომა დამჭირდა, ვიღრე ტყავს ვიშოვიდი,

მაგრამ ცველაფერი ეს გამოუცდელობას მიეწერება. ერთხაშათ ვინ იფიქტებდა, თუ ამისთვის ჩემი პოთფელის შიგნითა მხარის ოპერაცია იქნებოდა საჭირო. სამწუხაროთ, როცა პორთფელილან ამოქტილი ნაჯვეთი ფეხსაცმელს შეუდარე სულ სხვა ღირსებისა და შეუფერდებელი ფერისა გამოდგა. ჯერი ჩემს შავ ტყავის ჩემოდანზე მიღდა, მაგრამ არ იმისი ჩამონაჭერი გამოდგა სავარგისი, ვინაიდან ტყავი მისი სქელი აღმოჩნდა.

არ ვიცი როგორ წავიდოდა საქე, თუ საზამთროდ ნაყიდი ტყავის ხელთამშანისათვის უცაბედათ თვალი არ მომექრა. ამოვჭირ საჭიროზე ცოტა მეტი ითხეუთხი და დავიწყე ხელობა.

პირველხნობით ცოტა არ იყოს მეშინოდა: ვით ვერ დავსძლიო საქმეს მეთქი, მაგრამ მომავინდა გამამხნევებელი ცნობები გაზეთებილან.

— ცნობილი ქართველი ფუტურისტები, ფოლოსოფისი გრ. რობაქიძე და მგოსანი პ. იაშვილი სპარსეთის ფრონტზე ვირების ტრანსპორტს ხელმძღვანელობენ —

და იმედი მომექა.

ორ საათსაც არ გაუვლია, რომ მე საქმეს თითქმის მოვრჩი და მიუხედავათ ნემსისაგან დაჩქვლებილ ხელის მწვავე ტკივილისა, სრულს ავტორულ თავმყარეობას განვიციდი და გულწრფელად ეხარობდი ჩემი ნამუშიერით, მაგრამ მხოლოდ ამ გათავების დროს გამოირკვა ერთი უბრალო და თანაც უსიამოენო ამბავი. მე წაღაზე მიჰყევებია არა მარტო ტყავი ზემოთ მხრიდან, არამედ ჩემი პიჯის მარცხნა სახელოც ფეხსაცმელის შიგნითა მხრიდან.

ცხადია, იძულებული ვიყავ სახელოს ნაწილი მიმექრა, რომ ტყავის აძრობა არ დამტკიცებოდა და ნამუშიერი წყალში არ ჩამეყარა, მაგრამ მოლოს გამოირკვა, რომ ეგ საშვალება თურმე მისანს ვერ მიმაღწევინებდა. შიგ დარჩენილი სახელოს ნაჭერი ძლიერ სქელი გამოდგა, ძალუმათ ვაჭვა ფეხსა და იძულებული გამხადა სიმწრით დანაკერები ტყავის ნაჭერი ფრთხილად ამერლვია.

ავარდვით კიდევაც და არა მარტო ერთხელ, მაგრამ ახლა, როცა საქმე დაგვირგვინებულია, ანგლილ უსიამოვნებას ვინ და მოიგონებს. მეტობები მიჩრდენ:

— დაანებე თავი, აგერ ამერიკიდან გამოვიწერით ფეხსაცმელი და იაფად დაგვიჯდებაო...

— ხომ იყი რუსეთში უკვე მინისტრებიც ქალამნებით დაღიან და შენ რას ჩააცივდი მაგ ძველის ძველ წალასო,

მაგრამ უბედურობაც იმაშია, რომ სრულიადაც ძველის-ძველი არ არის ჩემი ფეხსაცმელი. ორი ჩვირის წინათ ვიყიდე ჩემს კარგ ნაცნობ მაღაზიის პატრონთან და 28 მანეთი ფული მივეცი.

მე მხოლოდ მარცხნა ხელის სიმსიცნე მაფიქრებს. ექიმმა მითხრა — ჯერ-ჯერობით ვერაფერს გეტყვი, შეიძლება სისხლი მოწამლული იყოს, თუ ნემსი ცოტა უანგიანი იყოო.

ეშმაკი.



## პატარა ფელეტონი

პ უ რ ი ს ი ს ტ ი რ ი ს

(ვა-ვუის ხმაზე)

ბევრი ითქვა, დაიწერა  
თანაც საყვედური,

მოახსენეს ჩვენს „ღლასნებსა“  
გაგიძევდეს ყური, —

რომ არ ცხვება აქ, საკმაოთ  
საარსებო პური;

ხალხი წვალობს და შიმშილობს,  
ხალხი უბედური!..

ზოგი შდიდრებიც არიან  
მათი უმაღური,

მაგრამ ბევრმა უწყალობა  
და დასკა დასტური:

— „ვაგონებს არ იძლევიან  
რა ჰენას საბჭომაო,

ჯარის ზიდვას უნდებიან  
დიდი აქვთ შრომაო!

ჩვენ მივიღეთ რაც შეგვეძლო  
ყოველი ზომაო,

პური მანც ცოტა ცხვება,  
არც ის იჭომაო.

რა უნდა ქნან? რა იღონონ?  
არ ჩანს ხსნისა გზაო,

ასე ბჭობენ ზოგიერთნი  
ადილებენ ხმოსნებს,  
შეგრამ უფრო მეტს შეხვდებით  
მწვავე კრიტიკოსებს.  
ისინი სულ სხეის ამბობენ  
სხვა კილოზე სჯიან,  
მათ ჟატუნი, შებრალება  
არვის არ იკიან!

დადიან და დღით, თუ ღამით  
ასე გაპირიან:

— „მამები“ რომ არ გვივარგან  
ეს შევიტყეთ გვიან!

თურმე თფილისისა ფქვილსა  
სულ სხვაგან ჰყიდიან...

ჩვენ აქ უცუროთა ვრჩებით  
კუჭი ხმება, გვშიან,

ისინი-ეკ უდარდელათ  
ქისებსაცა ზრდიან!..

ან რა უჭირს ვაებატონებს  
მიმოდიან ხშირათ,

სანოვაგის ფასს იტყობენ—  
საღ უფროა ძვირათ...

შემდეგ იქით მიაჩიჩებს  
რაღაც გასაკვირათ,—

მაშინ ვაგონებიც არის  
მას სდარაჯობს გზირათ!..

ხანაც ჩამოტანილ ფქვილსა  
ობი ეკიდება,

ვერ გადმოაქვთ თავის დროზე  
უპატრონოთ ხდება!

„უვარგისი იგი ფქვილი“  
მეტათ იყიდება!..

ხატისოვი ყოველ საქმეს  
რა რიგათ გასწვდება?!

ისიც ათევს მთელ დამებს  
ხალხის ჯავრით დნება!..

მაგრამ როცა „დუმაშია“  
„რეჩით“ არ იღლება,  
ხოლო სახლში პურის ნაცვლათ  
„პირაქები“ ხვდება!..

ჩვენ რაღა ვჭიათ, რა ვიღონოთ  
პური რომ არ ცხვება?

შავი, ცომი პურის ჭამით  
კუჭი გვიფულება“?!.

ასეთია ხალხის მსჯავრი  
თავსა გეფიცებით

ალბათ, თქვენაც მოისმენდით  
თუ ყურს ათხოვებდით.

რა უშველის ასეთ დრტვინვას  
ან რა მოხერხებით

მოესპონთ ხალხში კენესა-ურვას  
ტანჯვას განვშორდებით?!

ვისაც კუჭი უთამაშობს  
ვგონებ, დაფიქრდებით,  
იმედია მიპასუხებთ—  
ბევრს არ დაყოვნდებით.

ალბურიონი.



## გრამატიკა ცოლქმრობისა

(ლად. კოლომინისაგან ნათარგმნი)

ვისაც გულწრფელად სურს ცოლთან კეთილ  
განწყობილებაში იყოს, არ ისმნედეს მისგან ძღვნა-  
წყევლა-კრულებას, მწვავე სილებს, ან სხვა და სხვ  
დამამუშენებელ მეტახელებს, მოისმინოს და და  
მახსოვროს შემდეგი:

ვიწყებ:

პირველ ყოვლისა, რომ თქვენს სახლში მუშა

მიერ ამბოხება არ მეფობდეს, დაეთანხმეო მეუღლეს მაშინაც კი, როდესაც გეუბნებოდეს: პირველი ასო ანბანში არის „ო“ და არა „ა“, ან როცა გიმტკი-ცებდეს: ახალგაზრდა და ლამაზი პეტრე პეტრეს ძე დიდ სამსახურს გიწევს მით, რომ თქვენს მაგიერობას ეწევა თქვენს ოჯახში, როდესაც თითონ კლუბში იმყოფებით.

არ გაგიწყრეთ ჯოჯოხეთი და ვინმე სხვა ქალს თვალი არ მიაშტეროთ. აღტაცებაში უნდა მოდიოდეთ მხოლოდ იმ ახალგაზრდით, რომელიც თქვენს დელფინს მოსწონს.

ყოველ სალამის კლუბში იარეთ, მხოლოდ არ დაგავიწყდეთ ცოლს უთხრათ, რომ ღამის ორ-სამ საათა მაღდე არ დაბრუნდებით.

სასეირნოდ იორჩიეთ ისეთი ადგილი, სადაც შენ გარდა სხვებიც არიან მოსეირნენი, რადგან ისეთ ალაგას, სადაც ბნელა, სადაც მხოლოდ წყვილ-წყვილი სეირნობენ, უთუოდ შეხვდებით თქვენს დელფინს და მაშინ სამართლიანად დაიმსახურებთ მის რისხეს.

არ აკოცო შენს ცოლს ხალხში, რადგან ეს მიღებული არ არის. მაგრამ თუ სხვა ვინმემ აკოცოს, — ჩმა არ ამოიღო.

უთუოდ დაეთანხმე მას ყველაფერში. უმეტეს მაშინ, როდესაც თავის ტკივილის მიზეზით ცდილობს თითონ სახლში დარჩეს მოსასვენებლათ თქვენ კი კლუბში გაგისტუმროს.

დაეთანხმე, თუ გიოხჩას, მამაკაცები იმიტომ ხართ გაჩენილნი, რომ მხოლოდ და მხოლოდ ქალების „ტუალეტისათვის“ ზრუნავდეთო.

თქვენი ცხოვრება ცოლის „ტუალეტს“ დაახარჯეთ და თუ არ გეყოთ, ვალები აიღეთ, იქურდეთ, ივერაგეთ, საღმე ჯაირათ დადექით...

არ სკამოთ, არ სვათ და ცოლი იპერებზე, კონცერტებზე ატარეთ.

თქვენ ქვეითად იარეთ, ცოლი კი ეტლით ასეირნეოთ.

მოიპარეთ, თუ საკუთარი არა გქონდეთ და თქვენი მეუფვე ყოველ წელიწადს აგარაკზე გაუშვით.

ფრთხილად იყავით და უსიამოვნების ნაოქები არ დაიჭარგოთ სახეზე, ოდეს თქვენ ცოლი შუდამ ერთსა და იმავე აფიცერთან სეირნობდეს, არამედ მიიღო იგი ღიმილით, მიესალმე ზრდილობიანად, ნაცნობებს წარუდგინე, ვით შენი ახლობელი და მოკეთე.

არამც და არამც ცოლის მიერ მიღებული წერილი არ წაიკითხოთ, ხოლო თუ უეგემთხვეს ასეთი რამ, ისეთი სახე მიიღე, თითქოს ვერ გაარჩიე ნაწერი.

თუ თქვენს საწოლ ოთახში ვინმეს მიერ და-ვიწყებულ დარჩენილი ქუდი, ან ხელთათმანი იპოვნო, ეცალე იგი ცოლის შეუმჩნევლად მიმალო საღმე.

ფეხი არ შესდგა მის ოთახში, ვიღრე ხუთმეტი წუთით აღრე არ ამცნო შესახებ ამისა.


არ გაგიკვირდეს, თუ შვილი შენი რომელიმე შენს ნაცნობ ინეინერს, ან აფიცერსა ჰგავდეს, არამედ მიაწერე ეგ უბრალო შემთხვევას.

მოთმინებით მოისმინე ყველა მისი შენიშვნები, ოჯახური სცენები, და ცოლებრიბის მფარველ მოხუც ღმერთს მადლობა შესწირე ისეთი ცოლის ბოძებისათვის, რომელიც მხოლოდ ამაქსს გაქმარებს და თავში არ გირტყაშ.

ასარულე ყველა მისი სურვილი და მაშინ, მომაკვდავო, შენს ოჯახში დაისადგურებს შშვიდობა და შუალედოება.

ამაზე უკეთესი კი, ვფიცავ მამაკაცობის სახელს, ვფიცავ დღის სინათლეს, ვფიცავ რაც საუკეთესო ცხოვრებაში, ვფიცავ თქვენს მეუღლეს, იქნება თუ სულაც არ შეირთავთ ცოლს.

გ. ფიჩხაძე.



## გაკვეთი გლობური გამგედაობისა

დიდის ხეეწნით და მუდარით მოვაშორე ოთახში ყურყუტს ჩემი მეგობარი შალვა და წავიყვანენათესავის ოჯახში სტუმრად. თავდაპირველათ ძლიერ უარზე რეო.

— ჩემი გუვული არ შემიძლიან წამოსვლა ხომ იცი როგორი მორცხვი ვარ, მეტადრე ქალებთან. ერთს სიტყვას ვერ ვიტყვი სწორათ, თანაც ვკანკალებ და ყაყაჩოსავით ვწითლდები. იმ შენ

ნათესავებთან, შე ვიცი ქალებიც იქნებიან და შე-  
ვრცხვები კაცი.

— შალვა, როგორ არა გრუტვენიან, რომ მა-  
გას ლაპარაკობ ოცდა ხუთი წლის კაცი ხარ და  
ვის გაუკონია ამ წლოვანობაში მორუტება? ღმე-  
რთმანი, შვილი წლის გოგონას მავრნებ.

— რა ვქნა, ისეთი გამარინა ბუნებამ.

— შენ იცი რა გითხრა? წამოდი სიკოსთან,  
გაპტედე.

— ვერა, ძმაო!

— წამოდი და მე დაგარიგებ, როგორც უნ-  
და მოიქცე.

ღიდი ხვეჭნის შემდეგ დამთანხმდა.

— მაშ ჩიცუი ტანაცმელი... კაცო, რას  
შვრები „ვიზიტკის“ მავიურათ შარვლის ტოტებში  
რათ უყრი ხელს?

ჩემი დახმარებით ჩიცუა ტანთ. გამოველით,  
ეტლი დავიქირეთ და გავემგზავრეთ.

— ი, როგორ უნდა მოიქცე, ჩემ შალიკ;  
პირველ ყოვლისა, უნდა იჯიქრო, რომ შენ სტუმ-  
რათ კი არას არამედ შენს საკუთარ სახლში ხარ—  
ეს კარგად დაიხსომე—ისე მოიქცი, ვითომე შენს  
ოთახში იყო. შემდეგ ლაპარაკში არ იხმარო რა-  
ომე ძნელი სიტყვები, რადგან შესაძლოა წაბო-  
რიკედე, კისერი მოიტეხო და შერტვე. თუ რაიმე  
ლაპარაკი ჩამოვარდეს, გირჩევნია სულ განუმდე,  
ან „ჰო“ და „არა“-ს მეტი პირიდან არაფერი ამო-  
უშვა. უკიდურეს შემთხვევაში შეგიძლიან ამინდზე  
საუბარი. ყური უგდე შენს გარეგნობას: ან ფეხსა-  
ცმელი არ გაგხსადოს, ფოლაქები არ გაგხსნას  
„შილეტებზე“. ყველაფერში წინდახედულათ იყავ.  
ხომ გაგიგონია ანდაზა: „შეიდგერ მოზომე და  
ერთხელ მოსჭერიო.“

— ამ სახის სიწითლეს რაღა ვუყო კაცო?

— არა უშავს-რა, ეგონებათ, რომ ჯანსაღი  
კაცი ხარ, სიწითლე ბუნებრივია და არა მორუტებ-  
ით წარმოსდგება. ყოველ შემთხვევაში ეცალე სულ  
გაწითლებული იყო.

— კარგი, ჩემო გუგული, ყველა შენს დარი-  
გებას პირიათლად ავსრულებ.

სიკოს ოჯახში წვეულება უკვე გაჩაღებული  
იყო, როდესაც მიველით.

— აა! გუგული. გამარჯობა, გამარჯობა!

— ნება მომეცით გაგაცნოთ ჩემი შეგობარი  
შალვა; შალვა თხელიძე.

შალვას პირველი გამბედაობა იმაში გამოახ-  
ტა, რომ ვისაც კი ხელი ჩამოართვა რატაქზე და  
აჩიქა.

ლონიერია შალვა!

ამის შემდეგ თუმცა მას ახლათ გაცნობილები  
ელოპარაკებოდენ, მაგრამ ახლო მიკარებას და ხე-  
ლით შეხებას კი ვეღარავინ ბედავდა.

სოსოს მეუღლე გამოელაპარაკა შალვას.

— ბატონო შალვა!

— ჰამე!

— თქვენ გუგულის მეგობარი ხართ?

— არა!

— როგორ? ხუმრობთ! . სადა მსახურობთ?

— დღეს წვიმინა დღე იყო!

— მაშ! მაშ! წვიმინი დღე!.. საკვირველია  
ასე ადრე რაღ დაგვიდგა შემოდგომა.

— ჰო,

— ძალზე აცივდა...

— არა!

განცვითრებული მარიამი უკანასკნელათ დაე-  
კითხა:

— თქვენ, მგონი, უცოლ-შეილო ხართ!..

— დღეს ჩინებული იმინდი იყო!..

მარიამი გაცვირვებული განშორდა მას... .

— შალვა! შალვა! თავისუფლათ დაიჭირე თა-  
ვი! არ შემარტვინო! წავჩურჩულე მე.

მან მოიკრიბა მთელი მისი გამშედაობა, მი-  
ვარდა ლამაზ სოფიოს, ხელი შელავში გაუყარა და  
გააქანა დარბაზის მეორე კუთხისაკენ... სოფიო წა-  
იქცა!.. შეიქნა წიგილ-კივილი... .

ნახევარ წუთში დარბაზში დაერჩით მხოლოდ  
მე და შალვა!

— შალვა, შალვა! ნუ მარტვენ, ნუ მღუ-  
პავ!..

— ხომ ახლა ისე უნდა ვიგრძნო თავი, რო-  
გორც ჩემს საკუთარ ოთახში? კეთილი.

მან გაიხადა ფეხსაცმელები, „ვიზიტკა“, „ში-  
ლეტკა“, წამოწვა ტახტზე, გააბოლა თამბაქო და  
იწყო გაზეთის კითხვა. ნამეტანი სასიმოვნო იყო  
ჩემი მღვიმეარეობა! მე მოვიკრუნჩხე სკამზე და  
დავხუჭე თვალები, რომ არ დამენახა არაფერი.

— შალიკო! შალიკო! რას სჩადი ნუ მარტ-  
ვენ...

— ახალი ამბეჭი,



## ჟ ძ რ ა დ ლ ე ბ

მალე გაჩნდი სიკო. ციფად  
გამიძახა ცალკე ოთახში.

— გუგული ეგ ყმაწვილი ვინ არის?

— ჩემი მეგობარია, შალვა, ძლიერ მორცხვი  
და გაუბედავი ყმაწვილია.

— ჰო, ჰო! ეტყობა სიმორცხვე. თუ შეიძლებოდეს წაიყვანე აქედან. შალვა დიდის წვალებით  
დავაბრუნე სინამდვილეში, ეტლით სახლში წაველით.

— გუგული, ხომ ვისწავლე გამბედაობა, ვის-  
წავლე?

მე მისი დაზღვი არ მქონდა და ვფიქრობდი  
მხოლოდ იმის შესახებ, რომ როდესაც სიკოს გა-  
მოვემშვიდობე და უთხარი:


— შალვას სახლამდინ მიყვები და დაგბრუნ-  
დები მეთქი.

მან მიპასუხა:

— როგორც გენებოს! შეგიძლიან სულაც არ  
მოხვიდე არც დღეს და არც სხვა დროს.

რაღა წყალში ჩავარდე! სადღა ვნახო სიკოს  
ლამაზი ქეთო, პატარა ქეთუნია. მე ხომ მიყვარს  
იგი?

შზგული.




რა კი პირველი შარადა  
არ გამოვიდა ურიგო,  
მინდა „ეშმაკის მათრახსა“  
თოთო ყოველთვის გურიგო.  
მსურს ერთი დღესაც მიკუდლენა,  
თუ გამოენახე საგანი,  
ისეთი, რასაც არ ახლდეს  
თანვე ხუნდი და საკანი.

ოთხი ასოსგან შესდგება  
სიტყვა, რომელიც გვპირია;  
ყოველ ნაბიჯზე შეხვდებით  
ისე ბევრი და ხშირია.  
ცხოვრების მაღალ კიბისა  
პირველი საფეხურია. .  
სხვებს აჩენს... თვით კი მუდამ უაშს  
სკივა, პშია და სწყურია.  
მსოფლიოს კიდით კიდემდე  
ისმის მისი ხმა მგრგვინავი;  
მოძავლის შოციქულია,  
აუმყოში მწარეთ მგმინავი.  
როს ნახოთ, შეუ გაჲყავით;  
მხოლოდ პირველი გვპირია;  
დღისტყარისთვის ეს საქმე  
არც ისე ვასაჭირია.

ახლა ხშელეთი დაფაგდოთ,  
გავისრიალოთ ზღვაზედა,  
ვგრძენობ, თკეუნც შოგწყინდათ  
ჩანჩალი

მუდამ უაშს მთა და ბაზზედა.  
იქ ცეცხლის გემსა ვეწვიოთ,  
ან ხომალდს იალქნიანსა

## „ლვილი არსად იყო, ეუმავაგი ფიქაზს გერავდენ“



გირთხები. სულ აშენებენ და აშენებენ ამ საწყობებს; საჭმელი რაღაც რომ  
არის ნეტავ იმას როდის ჩამოყრიან შიგ?!

და რასაც ვეძებთ, ვიპოვით,  
მით ავიცილებთ ზიანსა.  
როს ქარიშხალი ატყდება,  
ზღვა გრგვინავს ფაფარაყრილი,  
ტალღა ტალღას სცემს, ზვირთი  
ზვირთს,  
ჰქვნეს გემი, ანდა გახრილი,—  
მაშინ იმედათ ისა აქვთ,  
მას შეპურებენ რწმენითა  
და მის გამომგონს, გამჭედელს  
აქებენ აღმაფრენითა.  
ეს სიტყვაც შუა რომ გავსკრათ,  
ბოლო მივაბათ პირველსა,  
თვალის წინ სრული შარადა  
დაეხატება მხილველსა.

შაგრამ სანამდე ახსნიდეს,  
არ მოასვენებს ფიქრები;

ვერც გრძელი ლექსი გაართობს  
და ვერც დაატკბობს რითმები.  
როს ახსნის, იღფრთოვანდება,  
ისე ტკბილი და ნაზია:  
ზეშთაგონების გვირგვინი,  
მსოფლიოს სილამაზეა.  
მას ბევრი შესტრფის, მაგრამ თვით  
მცირედის მწყალობელია:  
მხოლოდ ის უყვარს, ვინც ხალხის  
ხმა-ტკბილი მგალობელია.

ჩახრუხაძე.




„პირიმზე“\*) ბათუმის სცენაზე



\*) შემთხვევით ქ-ნ პირიმზესათვის პირის გამოხატვა დაგვავიწყდა, მაგრამ ამ შემთხვევისათვის ეს ნაკლი ბევრს არაფერს აბრკოლებს, ვინაიდან მსახიობ ქალს „პირიმზეს“ როლში პირი სრულებით არ დასჭირვებია.





## შერილი ნათლიმამისადმი

ძვირ.ფასო მათე!

მოგიკითხავ სიყვარულით და ტუჩზე კბენით  
საერთოთ ყველის და კერძოთ ჩემს ნათლის დედას.  
შენი წერილი მივიღე; იწერები რავა ხართ შემო-  
მითვალეო.—

ჩვენებს რა უშავთ! საჭმელს ვერ შოულობენ  
თორემ, მოგეცა ლვის წყალობა, ვამის მადა იმათ  
ჰქონდეთ. მხოლოდ მე რომ ვარ მოქცეული ისე  
შენი მტერი და დუშმანი მოიცეს.—

რაღაცა საუბედუროთ, ამას წანეთ, ჩვენ ექიმს  
ვთხოვე სურამში „სტაიკანზე“, გამგზავნე, ტანში  
ძველი ციება მაქვსთქვა.— ექიმიც თანაგრძნობით  
შეხვდა ჩემს თხოვნას და გამგზავნა.—

ჩავედი თუ არა სურამში, ისეთი აგათ შევი-  
ქნი, ისეთი, რომ კინალამ შენი ჭირის სანაცვა-  
ლოთ წავედი. თუ არა ჩემს უკულმართ ბედა, რას  
უნდა მიეწეროს ეს!? კაცი საექიმოთ წავედი, ვფი-  
ქრობდი ცატას მოვიკეთებ და თუ მეტს არა, ამ  
ომის გათავებამდე მაინც ვიცოცხლებთქვა და კინა-  
ლამ სული დაკსტოვე იქ.—

ერთ დღეს, როდესაც სოცხე 40 გრადუსამდე  
მქონდა, თავს დამადგა სამურნალოს ზედამხედვე-  
ლი და გამომიცხადა: „მოქმედეთ დღეს უნდა გა-  
გწეროთ, თქვენ თურმე იქაურ ექიმს, გზის უფრო-  
სის ნება დაურთველათ გამოუგზავნიხართ და თუ  
დღესვე არ გაწერე დიდი პასუხისმგებლობა მო-  
გველისონ“

შენ საყვარელო მათე, შეიძლება არც იცოდე,  
რომ ჩვენ რკინის გზელებს სასტიკათ აგვიკრძალეს  
ნება დაურთველათ ავათ განდომა და ექიმობა!?

ეს კი არა, ლაპარაკობენ მალე ნებადაურთვე-  
ლად სიკვდილიც აგვიკრძალებათო.—

თუ შენის კარგათ ყოფნით ეს გამართლდა,  
მაშინ ნულა შეგეშინდება.

აბა მაშინ მიყურე რამდენ ხანს ვიცოცხლო

ჩემის ნათლიდედის სასიხარულო-სამხიარულოთ და  
მტრის გულის მოსაკლავათ.

ეს აგათმყოფიბა შენთვის მოსახიენიაო მით-  
ხრა ზედამხედველმა, ჰერის ზეგავლენით ძველი კი-  
ება გამოდის ტანიდანო და ოფლის შეშრობაც კი  
არ მაცალა ისე გამომისტუმრა „სტაინკიდან“

შეიძლება ის მართალი იყოს, შეიძლება მარ-  
თლაც გამოდიოდეს ციება ტანიდან, მაგრამ მე ისა  
ცუდათ ვგრძნობ თავს, ისე ცუდათ, რომ ვშეშო  
ციებას სულმა არ დაასწროს გამოსვლა.

ერთის მხრით ახა კია ჩემს თავზე რაც მომივა.  
რა დროს სამსახურის მიტოვება და სურამში საქა-  
მოთ წასვლაა!! განა ამას გვიკარნახებს ახლა ჩენ  
სამშობლოს ინტერესი? მით უფრო, საღლაც ტანში,  
რაღაც ციება მიმალული, რას ჩივი, მიანებჲ თავი  
და იყოს შიგ სანამ არ მოსწყინდება!! მაგრამ ასე  
ვასრულებთ ჩვენ მათე ჩემო ბრძანებას „ნებადაურ-  
თველათ ავათ არ გახდეთო“, ასეთი პატრიოტები  
ვართ ჩვენ და ისე ვთმობთ „ცველასფერს ომისთვის“

## II

არც ვასო კალიშნიკოვის \*) საქმეა კარგათ,  
ჯერ იყო და ხომ დაითხოვეს, მერე ისევ მიიღეს,  
ცოტა ხნის შემდეგ ჩამოაყენეს, მერე აღავინენს  
თავის უფლებებში და ახლა კიღვე დაჟინებით ლა-  
პარაკობენ ისევ დაითხოვესო:

მერე რისთვის? რა დანაშაულისთვის ვის?!

ვიცი მათე შენ გაგვინება და იტყვი: რისთვის  
დაითხოვდენ გასოს, თუ არა იმისთვის რომ ბილეთე-  
ბის ფასებს „ოკრუგლენის“ \*\*) უკეთებდათ.

მერე ეს დანაშაულია? თუ ეს დანაშაულათ  
ჩაითვლება მაშვინ ხომ მეტი ნაწილი რკ. გზის მო-  
ლარებისა დამზაშავის სკამზე უნდა დაისციან! მა-  
შინ ხომ საღ. ევლახის ყოფილი მოლარე ბ. ყობი-  
ევი დასახრჩობია?! მაგრამ უბედურებაც იმაშია, ჩე-  
მო მათე, რომ ნების ქურდს ნების მოპარვისთვის

\*) სანდარის სადგურის უფროსის თანაშემწე, სე-  
რის სადგურის უფროსი არავის ეგონს, თუმცა ბედი როთაშე  
ერთნაირად წევალობს. ეს უკანასენებიდაც დაითხვეს იმის-  
თვის რაჭება.

\*\*) ბილეთი ღირებული 36 კა. თუ „ოკრუგლენის“  
გაუგეობეს ან, ასთბო საფოტს მუშატებს, იუიდეს 70  
და 90 კ.

კი არ ასამართლებენ, არამედ სრულიად უსაფუძვლოთ აქლემის მოპარვაში სდებენ ბრალს და სჯიან კიდეც!..

ვასო რომ „ოკრუგლენიისთვის“ დაეხვრიტათ კიდეც, როდესაც ვიცით რომ ის არაა უცოდველი, ღმერთი როგორ გამიწყრებოდა და ენას დავისველებდი.

მაგრამ როდესაც მას სრულიად უდანაშაულოთ ქრთამის აღებაში სდებენ ბრალს, როგორ შემიძლია გაფჩუმდე?

შენ ქე იცი, მათე ჩემო, რომ ყარსში და სარიყამიშში, დღიდან ომის გამოცხადებისა, სამხედრო უწყების ნება დაურთველათ, რკ. გზის საღერებიდან აღკვეთილია ყოველგვარ საქონლის გაგზავნა.

არ სცოდნია თურმე ეს საწყალ ვასოს და ერთ ნაცნობ ვაჭარს ოციოდე ბოჭკა ლვინო გაუგზავნა სარაყამიშში.—ვიმეორებ, უცოდინარობით და არა განზრახ.—რკინის გზის აუმინისტრაციამ კი ეს უბრალო შემთხვევა შეცდომა, ბოროტმოქმედობათ ასენა და ასე უხვოთო აწამა და ჯვარზე აცვა ეს. საცოდავი კაცი.—

პირადმა მტრებმა და ქვენა აზრებით გამსქვალულმა ხალხმა დრო იხელთეს და ვინ იცის როგორ ჰორებს არ ავრცელებენ:

„ქრთამათ ნოხი აიღოვო“. მერე, ეს შავდღიანი ნოხი, საჩუქრის სახით მაინც არ მიეტანოს ლვინის პატრონი!!

შენ და შენი ღმერთი, მათე, სინდისის ქვეშ სთქვი: ნოხი ქრთამათ შეიძლება? რა აქვს ნოხს ლვინისთან საერთო??

„ვასომ და მისმა ოჯამხობამ სანდარში პროვინცია მოაწყვეს და მოსამსახურები ერთი მეორის წინააღმდეგ აამხედრესო“ შერე ქე მაინც მომხდარიყოს მზგავისი რამ!! იმათ მხოლოდ თავის მოყვრული \*) ვალი მოიხადეს ს—ვის წინაშე და გაატრიხილეს, თუ როგორ საფრთხეს უმზადებს კ. პ. მის „პატიოსან სახელს“ ხელო თუ ს.—ვმა ნამუსი არ შეუნახა მათ, ყოველივე მზეზე გამოიტანა კ. პ. წინააღმდეგ შური იძია და ერთ შშევნიერ დღეს კი ვასოს ოჯამხობითურთ ჯაბუნაკი აწამა საჯაროთ, შეცდომაში შეყვანისთვის, ეს რა ვასოს ბრალია?

\*) ბაგშეს უნათლავს.

შენ და შენი ლიმაზი ცოლშვილი, სიმართლე სთქვი შეიძლება კაცმა ამას პროფესია დაარქვა?!! რაც შეეხება სად. რიონის უფროსის პ. ამალლობელის და სამტრედიის უფროს ტელეგრაფისტის ნ. ნინიძის შესახებ გავრცელებულ „ქორებს“ შემდეგი წერილით გაცნობებ.

შენი კ. მწვანეყვავილელი.

P. S. მოგვიყვდა ჩემი თავი, კინალამ არ დამავიწყდა! თუ ღმერთი გწამს, თუ ნათელ მირონზე ხელი არ აგილია იქნება, როგორმე ერთი ორი გორვანქა შაქარი გამომიგზავნო, წინეთ სიზმარში მაინც ვსვამდი ჩის და ახლა სიზმარებმაც აიღეს ხელი.

გავიგე პალტო გიყიდია, ოხ რა ბედნიერი ხარ მათე, რა ბედნიერი.—

კ. პ.



## ოპ. ქალეგო, ქალეგო!

ა. პ. ჩეხოვისა.

პროვინციალურ გაზეთ „ბლიკვის“ რედაქტორი, სერგეი კუშმას-ძე პოჩიტაევი, ძლიერ დალლილ დაქანული დაბრულდა რედაქტურიდან და სახლში მისვლისთანავე სავარძელში ჩაეშვა.

— მაღლობა ღმერთის როგორც იქნა სახლში ვარ... აქ მაინც მოვისვენებ, საკუთარ ქერ ქვეშ, ცოლთან ახლო... ჩემი მაშიკო-ერთად-ერთი ადამიანია, რომელსაც შეუძლია ჩემი აზრი გაიგოს და გულწრფელათ თანამიგრძნოს...

— რათ ხარ დღეს ასე გაფითრებული? — დაეკითხა მას ცოლი მარიამ დენისის ასული.

— ისე, რაღაც ცუდ ხასიათებ ვარ... აი მოვე-დი შენთან და მიხარია, სულიერათ დავისვენებ.

— მაინც რა მოხდა?

— ისე საზოგადოო საქმე სამაგლითაა, დღეს კი მაინც განსაკუთრებით. აი პეტროვი ქალალდს

— ვიგრძენი, ჩემს გულში ღვთიური ცეცხლი  
და... ცეცხლი ღვთიური... მინდა განვიცადო ვე-  
ტორობის სიტკბობბო. ამასთან ამოილო ჯაბიდან  
ვარდისფერი, სურნელოვანი ქალალი და გადმომ-  
(15).

— օ, յև լրցվեծուն. Ձի լրցվեծուն ի՞ց Առնա  
ան ոյս Սպահական տարածություն առաջ մագրամ... ուզու Եյշ-  
հասարակ և սպահական ուղարկություն ունեն...

-- ავიღე მე ეს სუბექტიური ლექსები და და-  
ვიწყე კითხვა... მაგრამ რას წაიკითხავ! წარმოუდ-  
გნელი სისულელე! კითხულობ და ასე გვინდია  
თვალები გექავება, გულის კონტჩე რაღაც გაწობა,  
თითქოს საწისევილე ქვები გადაგეყლაპოს... ლექ-  
სები ზრიაკინასთვის უძღვნია. მაგრამ, ღმერთს გი-  
ფიცები, ჩემთვის რომ ეძღვნა, პირდაპირ საშართალ-  
ში მივცემდი. წარმოიდგინე ერთ ლექსში ხუთჯერ  
აქვს ნახარი სიტყვა „მყისევ“! ახლა რითმი! ღმერ-  
თმა დაგითაროს, სიტყვა „ჟენეს“ არითმებს „ქრის“!

— არა, თუმცა ოქვენ ჩემი კარგი მეგობარი ხართ. მაგრამ ამას მაინც ვიტ დაგიბეჭდიათ.

— Molimoli?

— მიმისურავის რომ... რომ... რედაქტურისაგან  
დამიუკიდებელი მაზეზების გამო... რომ არ ეთან-  
ხმება ჩაენი გაზეთის მიმართულებას და პროგრა-  
მას.

ვერდნობის თუ რა აშკარა სიცოცხეს ვამზობდი,  
სახეზე სულ აღმური მომედო, გავწითლდი, დავიწ-  
ყე თვალების სრესა... აბა რას იზა? როგორ ეტ-  
ყვი, რომ მისი ლექსნი არათრათ არ გარდა? იმა-

ნაც იკრძნო ჩემი უხერხული მდგომარეობა და ინ-  
დოურივათ გაიბზა.

— თქვენ ზრია კინაზე ხართ გაჯავრებული და  
იმისთვის არ გსურს ჩემი ღოებსების დაბეჭდვა... მე  
ეს მესმის... მესმის მოწყალეო ხელმწიფეო!

აქ კიდევ პირფერაბა შემომწამა, მიწოდა ფილისტერი კლერიკალი და კიდევ რაღაც. მთელი ორი საათი სახარება მიკითხა ბოლოს და ბოლოს ჩემი პიროვნების წინამდებარების მოწყობაც აღმითქვა და... დაუმშვიდობებლათ წავიდა... ის ასეა საქმე ჩემი კარგო! 4 დეკემბერს, ბარბალონ-ბას, ზრიაკინას ანგელოზის დღეა და ლექსებიც უსათუოდ ამ დღისათვის უნდოდა გამოსულიყო... დანა ყელზე მიმაბჯინა, გინდა თუ არა დამიბეჭდეო. და დაბეჭდვა მათი შეუძლებელია. გაზეოს მთელ რუსეთში მოექრება თავი. არ დაბეჭდავ და კიდევ უარესი—პროსტანტეპი რაღაც ინტრიგას მოგიწყოს და ტყვილა უზრიალოთ დაოღუპები. მოღი ახლა და გამოაძერინე თავი ასეთ ჭანთრა უოლ მოგომარეობიდან.

— რა ლექსებია! რაზეა? — დაეიკითხა მარიამი.

— არავერზე... სისულელეზე... თუ გინდა  
წაგიკითხავ.

၁၀ ရုပ္ပါန် စိန္တမြော်

სიგარის კომლით გარემოცული  
ჩემს ოცნებაში დაფრიალობდი,  
მოქროდი ჩემსკენ ძლიურ ღიმილით,  
სიყარულისა ისრებს მასობდი...

მეტე კი უეცრად ასე გადადის:  
 ოპ მაპატივე, ჩემო სპეტაკო ანგელოზო,  
 ჩემი სიცოცხლის თანამგზავრო, იდეავ ნაზო,  
 რომ მე ვივიწყებ სიყვრულს და გავრბივარ იქით  
 საღ დაულია სიკვდილს ხახა... ოპ, კვდები შე-  
შე

და სხვა... სისულეებია!

— მერე რა? ეს მშვენიერი ლექსებია! — ხელფ-  
ბის ტკაცანით წარმოსთხვა მაშინომ. — პირიქით  
საუცხოვოა აბა ერთი მითხარი რით არ არის  
ლექსი? არა შენ ტყვილათ მიზეზობ სეჩაგო! „კაშ-  
ლით გარემოცული“, „ალურ ღიმილი“, რა მშვე-  
ნიერია! მაშ შენ არაფერი გესმის! არა, შენ სწო-  
რეთ, რომ არ გესმის სირვალ!

— მე კი არა შენ თვითონ არ გესმის!

— არა, უკავშირავად... პროზა მართალია ას

მესმის, მაგრამ ლექსებს შესანიშნავათ ვარჩევ! თავადს შეუდარებლათ შეუთხხავს, მშევნიერათ! შენის გძულს და მისთვის არ გინდა დაუბეჭდო.

რედაქტორმა ამოიოხრა და თითქმით ბარაბანი დაუკრა ჯერ სტოლზე და შემდეგ საკუთარ შუბლზე.

— იმ მცოდნენი ზიზღის გამომხატველი ღიმილით ჩაილაპარავა მან.


აიღო თავისი ცილინდრი, თავი მწარეთ გააქანა და სახლიდან წაევიდა.

„მივემგზავრები ქვეყნის საძებრათ, სადაც რომ გრძელებას შეურაცყოფილს, ექნება ბინა, თავშესაფარი... ოპ, ქალებო, ქალებო! თუმცა რა, ყველა დედაკაცი ერთნაირია!“

— ფიქრობდა ის და მიაბიჯებდა რესტორან „ლონდონისაკენ“.

რომ ერთი რიგიანათ გადაეკრა...

#### პოდბიპენტი



## ხონი, კუხი, გუზი, ჯიხაიში და სხვა

(ყოფილი პროკურორები, დღეს კი საზოგადო მოღვაწენი: ივანე, კოშია, და მასიკო).

ერთი წელია, პროკურორი ივანე გორდი, გზა ჯვარადინზე: მარცხნივ, მარჯვნივ, წინ და უკანა, გაჰყირის ყველგან, მოუწოდებს ხალხს „მოდი, მოდი

აღმოვაჩინე ბოროტების მე ჭუპრუტანა!!“ მას მხარს უშვნებს კიათურის ცნობილი ქურთი, ქრთამის ამღები, გაიძერა, მზავისივე ბრუნდი, რომელს გაუგეს და აუკრეს გუდა ნაბალი, უთხრეს: „მოგვშორდი, გეყო აწი ჩვენზე ნავარდი! ამ გმირის სახელს არ დასტოვებს, მწამს, ისტორია, სანამ იცოცხებს „მეგობართა“ თუნდ ერთი წევრი, დღეს აგრე დაის გეგონება სენატორია, მასხედა ითქვა ამას წინათ „მათრახში“ ბევრი.

გვარი რათ გინდათ, სახელი კი კოშია ჰქვიან, ჩვენში, ხომ ხედავთ, დაუნის გვირგვინს თავზე აყრიან.

ქურთის ბრალდებით საზოგადო მოღვაწეთ სჯიან. მესამე კიდევ მათ ამშვენებს ჩვენი მასიკო, რომელიც დღემდის არც ვიცოდით თუ სადმე იყო. შაბიამანის „იმას ქნაში“, რომ დაიჭირეს და თავის დროს მას „მათრახიც“ ცვონებ უჭირეს. ბევრი აფარეს მეგობრებზე ალარის კალთა, რომ დაემალათ შაბიამანით ავსილი ჩანთა, მაგრამ ვერ შესძლეს და მასიკო ისეთათ წახდა, რომ ქვაფენილზე საცოდავათ გლის გაიშელიართა... კმარა ეგ ორი ბოლონდელნი თუ რა შვილია ყველა ჩვენგანმა ვიცით, ახლა აღარ გვჭირია, ოლონდ პირველი ჯერ უცნობი და თან ცნობილი ამ ორი ქურთის განუყრელი კარგი ძმობილი, უნდა გაგაცნოთ ისე, როგორც ეშმაკთ წესია, დე, დაინახონ რა უმჯიათ, რა უთესიათ!!“

ივანეს ცნობს არა ერთი ორი სოფელი, თითქმის, ვით ჯადო, ეს გმირია ცველგან მყოფელი. თუ ანგარიში სადმე კია. შესაწორები,

იქ უცილობლად საჭიროა ვანოს ტორები. და ბევრს ადგილის იმისათვის, რომ გადიხიარის ერთი აცრემლოს და მეორე კი გაახაროს, მას აუღია, აუღია ქანქართა კეცა, და თუ გამღები ამ ქანქარის ვანოს ებეცა ის მეორესგან არ დაკარგავს აიღებს მზგავსათ, რა ენაღვლება, ერთი „შრომა“ გასცეს ორ ფასათ! მოგეხსენებათ გამგეობა სოფლის ბანკისა, ხშირათ რა ცოდნით მფურულავია შიგნით დაგთ- რისა

და ი, მთელი წელიწადი აღმა და დამა, დავთარში წერა, ხან უკუღმე და ხანაც წაღმა იწვევს არეგას მთელი ბანკის წარმოებისას და აგი უნდა მოდარაჯე ვანიჩეს ქისას. მყის იქ განადება ელვასავით და „წამხდარ საქმეს“ ისე, „დააწყობს“ ისე, ისე ვით წინდის ჩხილზე და ნურვის გიკვირთ, რომ ხსენება ასეთი პირის მუდამ, დღით, ღმით სოფლელთ ედოს სათქმელათ პირზე.

გვახსოვს ფარდული, იწ აღგვილი მიწის პირიდან და ანგარიში დაკვანძული ვანიჩეს მიერ, რომელსაც დახსნით ვერ დახსნიდა მაკედონელი, თვით კმაყოფილი გაპიოდა მრავალ უამიერს!!

გვახსოვს ფარდულის აღსასრულის დღეები მწარე, როს უკანასკნელ წაბლის სარსა ტორგში ჰყიდიდენ და აღელვებით დაღიოდა განიჩეა გარე, კოლასან ერთათ საიდუმლოთ რაღაცას თვლიდენ. როდესაც ფარდულს აღსასრული ტორგით აუგეს, და ანაღები იქ ფულები სოფლის ბანებისა ბატონ ივანემ სამათ გაყო, ურთ-ერთს ჩაუდვეს გუბის და კუხის—ვით კუთვნილი მან მიითვისა... გავიდა ხანი და გაუგეს აგი ივანეს ის ფიცა აძლევს: „ოლონთ ჩუმათ გადავიხდიო ნახევარს მოგცემთ, თუმც არა აქვს, მაგრამ ივალებს „მე მაგისათვის ნამუსს ხომ არ გადავიხდიო, „ნახევარი კი, რადგან შეცდა ამაზე სუდი, მევე დამტჩება, ეს არ არის მე მეონი ცუდი, და თუ დამიწყეთ თქვენ ამაზე სასივარიო, ჩემგან ერთს კაპეიქს ვერ იხილავს თქვენი ოვალიო“. რა ჰქნას გლეხმა „ყოვლათ შემძლე“ ივანეს წინა უძლურებია, რომ ნაცვალი იყარონ ჟინია, და მთლათ დაჯარგვას ამ ფულების ის ამჯობინა, რომ ნახევარი მათ წაელოთ თავთავის შინა მაგრამ დახე ფანდს, რომ ამაზეც დრო დაუნიშნა, დღიდან ტორგისა მეოთხე თვეს გამოუნიშნა და დაარწუნა ფულს მიიღებთ ამ დღეს თქვენაო, „მანამ კი ტუშილათ გთხოვ არ არ დასძრათ ჩემთან ენა. თურმე ნუ იტყვით, ის დღე არის უკანასკნელი, რომ იმ დღის შემდგომ ნება არ აქვთ საჩივარისა და დანიშნულ დღეს გამოწვდილი ფულისთვის ხელი გახდა მიმღები ვით მთხვევარა, მხოლოთ ვარისა. საჩივარია დღეს მყითველო, მაგრამ რას უზავ, რუსის კანონით დრო დაპკარგეს აწ გვიან არი, მაგრამ ამ საცდელს მაინც ვშინჯავ ერთს მაგრა ვდღზავ, რადგან სიმართლე, სამართლი აღარსად არი! სატანა.

S. P. მიუხედავათ იმისა რომა  
ვანოს ბევრი აქვს ასეთი შრომა,  
მაინც არ იქნა არ აცდა წყრომა,  
კვალ და კვალ დასდევს ესდექთა მტრობა.  
მან ბევრჯერ სცადა ყუთი დაედგა  
და ამით კუპათ თავი დაერგა,  
მაგრამ არ იქნა, არ სწყალობს კენჭი,  
ბევრჯერ მოსტეხს კისრულით ბეჭი.

თუნდ, სხვათა შორის, სადეპუტატო არჩევნების დროს დიდგა ყუთი. მრავლათ ეგონა თავისი რაზმი კენჭებიც . ჰერნდა“ ხუთიოდ ფუთი, მაგრამ სხვილები გამოდგა ყველა აღარ ჩავიდა არც ერთი ყუთში და დათვლის შემდგომ ჩვენს ვნოს არგებ უსტის „კარობკა“ მელოურსა კუდში. ნუ ძრახვთ ახლა, რომ აგრე ცხარობს ვით დანაჯერი ფუტკრისგან დათვი, იგ ისეთივე ბოროტებაა კეცელს, რომ დაასხათ საქრობათ ნავთი.

6—ნა.



## დ ე პ ე ჭ ე ბ ი

ხაშური. შესდგა დრამატიული საზოგადოების კრება, რომელზედაც გამოირკვდა, რომ წარსულ ზაფხულში სხვათა შორის წარმოუდგენით საუკეთესო პიესები მოსკოვის სამხატვრო თეატრის რეპერტუარისა: „ადოკატი მელაძე“—15 ჯერ, „პეტრისა მჭირის“ \*) 10 ჯერ, „დუელი“ 8 ჯერ და „ორი—მშეერი“—4 ჯერ. თუ რამ გამოიწვია ის გარემოება, რომ „ორი მშეერი“ მხოლოდ ოთხჯერ იქმნა წარმოდგენილი, საბოლოოთ გამოურკვეველი დარჩა. ფიქრობენ ეს იტრიგანობამ წარმოშვაო.

იქ დანევ. გაიხსნა ტალახით წამლობის სეზონი. დაბის ჭირისუფლობრივი შემოწმებით, ამ სეზონში საუკეთესო ტალახი დადგება.

სუმბათოვო. (იხალ-დაბა) დღეს გააცილეს ახალ დაბის მცხოვრებლებმა უკანასკნელი მოაგარესე. დიდი მაღლობა გადაუხადა მოაგარესე მცხოვრებთ, რადგან შარგალი ზედ შეანარჩუნეს, პიჯაკს და ზემორე იმისა სამოსელს თქვენი ჭირი წაუღია.

ბუგული გარდენიშვილი.

\*) „პიგრება“ აღბათ მძიმე არა ყოფილა.

ეშმაკი.

200ლება ხელის მოწერა 1917 ფლისათვის  
ქოველ-ქვირეული იუმორისტული გამოცემა

ი მ გ ა კ ი ს მ ა თ რ ს ხ ი

შორენალის საშხატვიო და სალიტერატურო მხარეს განაგებას ე ჯ ე ბ ძ ი,  
ხოლო გამოცემის სამშეს კანონია „გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა“

უურნალის ფასი: 12 თვით 6 მ. | 6 თვით 3 მ. 50 კ. | 3 თვით 1 მ. 80 კ. | 1 თვით 60 კ.

ეშმაკის მათრახში ღაიბეჭდება მ ხ ო ლ თ დ იუმორისტული შინაარსის წერილები, ლექსები, მოთხრობები, ზღაპრები, არაკები, შარადები, გამოკანები, ნაკვერცხილი სხვა.

რედაქცია სოხოვს ყველა თანამშრომლებს მასალები გამოგზავნონ  
ამ ადრესით:

Тифлисъ <sup>\*)</sup>

С. Р. Тавартиладзе,  
Ольгинская 6,  
Почтовый ящикъ № 96.  
(ეშმაკის მათრახ-საფეხი).



\*) ეს ადგილი კონცერტზე მარკისათვის არის დანიშნული და გულმავიწყებს მოვაკონებთ, რომ უმარტო ჩადგენ არ დაიხსნის.

ს ა მ უ მ ა კ ი ს 8 1 6 0 6 1 9 0 8 1

**ი ნ ა ნ ე ძ ს**  
**ვინც დაკლდება ქალაქ სოხუმში განზრახულ  
 ლ ე ქ ც ი ე ბ ს.**

**წ ა უ პ ი ტ ხ ა ვ ს :**

**I. პ რ ე ვ . ჩ ე ი ძ ე**

- 1) როგორ უნდა შესდგეს ახალი შტატი... (აფთიაქის მსახურთა).
- 2) ახალი ლექსთა-წყობა მოწინააღმდეგებთა სალანქდავათ.

**II. გ - ნ ი კ ე დ ი ს**

- 1) როგორ უნდა დააქმაყოფილონ ვაჭრებმა ნოქართა მოთხოვნილებანი.
- 2) უებარი საშუალება გაფიცვათა წინააღმდეგ (შტრეიქბრეხერობა).

**III. გ - ნ ი პ ა ჭ ა რ ა ვ ა**

- 1) როგორ უნდა მოახდინონ ვაჭრობის „ლიკვიდაცია“, რომ აინაზღაურო „პოგრომით“ გამოწვეული ზარალი.

**IV. გ - ნ ი დ ო გ რ ი ნ ი ნ ი**

- 1) მნიშვნელობა ცოცხალი ქათმის წონით გაყიდვისა.

**V. მ რ ე მ ა ს ი მ ვ ი ლ ი  
 დ ა გ ვ ა ლ ი ს**

- 1) რა სარგებლობა მოაქვს სავაჭრო ფირმის სახელწოდების შეცვლას.

**VI. გ - ნ ი გ ვ ა ლ ი ს**

- 1) (პრ. ჩხეიძის სუფლიორობით) ვინ მოაწყო „პოგრომი“ ქ. სოხუმში.

შესვლა უფასოა, გამოსვლა არ ვიცით.

— დ გ .